საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/62 "27" ივნისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ა. ესოიანის ახალქალაქის რაიონული სასამართლოს
თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2022 წლის 25 მაისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა საკითხი ზოგიერთ რაიონულ სასამართლოში, მათ შორის ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში თავმჯდომარეთა დანიშვნის შესახებ. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ვაკანსიაზე მიღებულ იქნა ამავე სასამართლოს მოსამართლის არარატ ესოიანის განცხადება.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეთაგან, ხოლო იმ სასამართლოს თავმჯდომარეს, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, - მათ შორის, სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეთაგან, 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დასაბუთებული გადაწყვეტილებით. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებთან მართავს კონსულტაციებს. 2022 წლის 27 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაიმართა კონსულტაცია ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მალხაზ ენუქიძესთან. მოსამართლემ მხარი დაუჭირა არარატ ესოიანის კანდიდატურას. არარატ ესოიანს აქვს მოსამართლედ და სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარის მიერ კენჭისყრაზე დაყენებული საკითხი - ახალქალაქის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ არარატ ესოიანის დანიშვნის შესახებ, მხარდაჭერილ იქნა საბჭოს წევრთა მიერ ერთხმად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მ. ენუქიძის პოზიციის გათვალისწინებით, 2022 წლის 8 ივლისიდან:

1. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მოსამართლე არარატ ესოიანი დაინიშნოს ახალქალაქის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ, 5 წლის ვადით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ა. ესოიანისათვის ახალქალაქის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 2 ივნისის №1/44 განკარგულება.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე